ამ ბროშურაში მოცემული ინფორმაცია ზოგადია. თქვენს სიტუაციასთან შესაბამისი ინფორმაციების მოსაპოვებლად დაუკავშირდით თქვენს CIDFF-ს სადაც ინფორმირებული იქნებით, მეგზურობას გაგიწევენ და კომპეტენტურ პროფესიონალებთან დაგაკავშირებენ.

ინფორმაცია კონფიდენციალურია და უფასო.

საფრანგეთში ისევე როგორც ზოგიერთ ზღვისიქითა დეპარტამენტში არის **103 CIDFF** (ქალთა და ოჯახების უფლებების შესახებ საინფორმაციო ცენტრები) მორიგეობის ფართო გრაფიკით.

სავარაუდოდ, თქვენთან ახლოსაც უნდა იყოს ერთი ცენტრი. CIDFF ის კოორდინატების მოძიება შეგიძლიათ საიტზე: **fncidff.info**



FNCIDFF - 7, rue du Jura - 75013 Paris - 01 42 17 12 00 - fncidff@fncidff.fr

fncidff.info

ეს საინფორმაციო ბროშურა მომზადებულია უცხოელთა და მოქალაქეობათა მიღების და მეგზურობის დირექტორატთან (DAAEN) პარტნიორობის და ობის, ბუშ დიუ რონის /ფოსეენი, ესონის, ოტ გარონის, ოტ დე სენის/ნანტერი, რონის, ვალ დუაზის თანამშრომლობის ფარგლებში.

© FNCIDFF - 2020

FNCIDFF
Fédération nationale des CIDFF

ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა

უფლებებზე წვდომა **ახლად ჩამოსული ქალებისთვის**

საფრანგეთში მამაკაცები და ქალები თანასწორნი არიან თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.
თანასწორობის დარღვევის შემთხვევაში, კანონი სანქციებს ითვალისწინებს.

MINISTÈRE CHARGÉ DE L'ÉGALITÉ ENTRE LES FEMMES ET LES HOMMES, DE LA DIVERSITÉ ET DE L'ÉGALITÉ DES CHANCES
Liberté Égalité Fraternité

MINISTÈRE DE L'INTÉRIEUR
Liberté Égalité Fraternité

Le réflexe égalité
fncidff.info

ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა საფრანგეთში

ოჯახი

- ქორწინება აკრძალულია 18 წლამდე როგორც ქლებისთვის, აგრეთვე მამაკაცებისთვის. ქორწინების იძულება მიუღებელია ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც.
- ქალებს და მამაკაცებს თავისუფლად შეუძლიათ იცხოვრონ წყვილად, იყვნენ ან არ იყვნენ ქორწინებაში, განქორწინდნენ ან გაშორდნენ ერთმანეთს. ერთი მოკავშირის მხრიდან ქორწინების შეწყვეტა აკრძალულია.
- ქალები და მამაკაცები ოჯახურ ბიუჯეტზე ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს და ამაზე ორივე მხარეა პასუხისმგებელი.

ძალადობები

- ძალადობები (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სიტყვიერი) წყვილთა შორის და ოჯახის წიაღში აკრძალულია და დასჯადი.
- ნაძალადევი სექსუალური ურთიერთობა სექსუალური ძალადობაა, თუნდაც მას ადგილი ჰქონდეს წყვილში.
  ეს კანონით დასჯადი დანაშაულია.
- ქალის მიმართ ნებისმიერი ძალადობა აკრძალულია და ისჯება.

სხეული/ჯანმრთელობა

- გოგონების და ქალების სასქესო ორგანოების დასახიჩრება აკრძალულია.
- ქალებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ შვილის ყოლა ან არყოლა.
- ქალებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების მიღება, ან რომ მიმართონ აბორტს (IVG).

განათლება /მშობლის მოვალეობა

- დედას და მამას ერთი და იგივე უფლება-მოვალეობები გააჩნიათ შვილებთან მიმართებაში.
- სკოლა სავალდებულოა როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის 6 წლის ასაკიდან 16 წლამდე.
- გოგონებს უფლება აქვთ მიიღონ იგივე განათლება რა უფლებაც აქვთ ბიჭებს.

დასაქმება

- ქალებს და კაცებს უფლება აქვთ დასაქმდნენ ნებისმიერი პროფესიით ერთი და იგივე პირობებში თანაბარი ხელფასით.
- ქალებს შეუძლიათ იმუშაონ მეუღლის, მამის, თუ სხვა ოჯახის წევრის ნებართვის გარეშე.
- ქალები ღებულობენ თავიანთ ხელფასს და შეუძლიათ საკუთარ სახელზე გაიხსნან ანგარიში ბანკში.

ინდივიდუალური თავისუფლება

- თითოეულ ადამიანს აქვს რელიგიის არჩევის შესაძლებლობა ანდა შეუძლია რომ საერთოდ არ იყოს რელიგიის მიმდევარი.
- ქალებს შეუძლიათ სურვილისამებრ ჩაიცვან. ამავდროულად, ინტეგრალური ჩადრის ტარება საჯარო სივრცეში აკრძალულია.
- ქალებს შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი, მიიღონ გადაწყვეტილება (გაერთონ, გაიხსნან ანგარიში ბანკში, იმუშაონ, მანქანა ატარონ…) მეუღლის, მამის ან ოჯახის სხვა წევრის ნებართვის გარეშე.